

სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ფიქრია სიქტურაშვილის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input checked="" type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	22	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20
პროფესიული თვისებები	11	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	88	100

ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 7.07.2025





საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვასილ მშვენიერაძე

2025 წლის 7 ივლისი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2025 წლის 25 თებერვლის №1/23 განკარგულებით სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - ფიქრია სიქტურაშვილის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

- 1.1. „საბჭოს“ 2025 წლის 25 თებერვლის №1/23 განკარგულებით, გამოცხადდა კონკურსი სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე (17 ვაკანსიაზე).
- 1.2. „საბჭოს“ 2025 წლის 25 მარტის №1/32 განკარგულებით, მითითებულ კონკურსში კანდიდატად დარეგისტრირდა - ფიქრია სიქტურაშვილი (შემდგომში - „კანდიდატი“).
- 1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.
- 1.4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.
- 1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატი, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელებ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 პუნქტით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით, 35¹-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;

„გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები;

„ვ“ პროფესიული თვისებები;

„თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;

„ი“ პროფესიული აქტივობა.

აღნიშნული მახასიათებლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეული ამ მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობები ერთმანეთისგან განსხვავდება და შემდეგნაირად განისაზღვრება:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა – 25 ქულა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია – 25 ქულა;

„გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები – 20 ქულა;

„დ“ პროფესიული თვისებები – 15 ქულა;

„ე“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 10 ქულა;

„ვ“ პროფესიული აქტივობა – 5 ქულა.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. „საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

2.1.1. „კანდიდატი“ 49 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, მაგისტრთან გათანაბრებული (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1998 წელი), სპეციალობით მუშაობს 22 წელი, კერძოდ:

- 2001 წლის იანვარი - 2002 წლის ივნისი, სამართალმცოდნეობის მასწავლებელი - თბილისის მრავალპროფილიანი სკოლა-ლიცეუმი მწიგნობარი;

- 2002 წლის ოქტომბერი - 2003 წლის დეკემბერი, საკონსტიტუციო სამართლის ლექტორი - თბილისის ბიზნესისა და საგარეო ურთიერთობების ინსტიტუტი;
- 2005 წლის აგვისტო - 2006 წლის დეკემბერი, უბნის ინსპექტორი - შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- 2006 წლის დეკემბერი - 2008 წლის თებერვალი, წამყვანი სპეციალისტი - მცხეთის რაიონული სასამართლო;
- 2008 წლის თებერვალი - 2008 წლის ოქტომბერი, კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსი - მცხეთის რაიონული სასამართლო;
- 2008 წლის ოქტომბერი - 2018 წლის აგვისტო, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მთავარი სპეციალისტი - საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- 2018 წლის აგვისტო - 2022 წლის მაისი, კონსულტანტი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური;
- 2022 წლის მაისი - 2023 წლის ოქტომბერი, კანცელარიისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი - თბილისის სააპელაციო სასამართლო;
- 2023 წლის ოქტომბერი - 2025 წლის თებერვალი, მსმენელი - სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

2.1.2. „კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები და კითხვარები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს „კანდიდატის“ კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. კერძოდ, გამოარჩევენ კანდიდატის პასუხისმგებლობის გრძობას, ერთგულებას, კეთილსინდისიერებას, გულისხმიერებას, პრინციპულობას, შრომისმოყვარეობას, მიზანდასახულობას, პუნქტუალურობას, კორექტულობას, სამართლიანობას და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს. გამოკითხული რესპონდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. მათი აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპონდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

2.1.3. „კანდიდატის“ შესახებ ინტერნეტ სივრცეში ინფორმაცია არ იძებნება. „კანდიდატი“ სარგებლობს სოციალური ქსელით. „კანდიდატი“ არ არის/ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატის სახელზე რეგისტრირებულია საცხოვრებელი სახლი, 453 კვ.მ. მცხეთა, წეროვანი. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

2.1.5. შესაფასებელ პერიოდში „კანდიდატს“ არ უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

2.1.6. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში „კანდიდატის“ მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული. „კანდიდატი“ დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი. „კანდიდატის“ მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალწარმოება.

2.1.7. „კანდიდატი“ არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVIII ჯგუფის მსმენელი. მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 77/15; რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 3.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით: „ფიქრია სიქტურაშვილმა წარმატებით გაიარა თეორიული სწავლების, სტაჟირების და სემინარული მუშაობის ეტაპები, წარმატებით ჩააბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა. სტაჟირებაში მიიღო უმაღლესი ქულა და სკოლის დამამთავრებელ გამოცდაში - 95 ქულა. სამოქალაქო სამართალი - ფიქრია სიქტურაშვილს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. მას აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. მიუხედავად იმისა, რომ მისი საგამოცდო მიმართულება სისხლის სამართალში იყო, სამოქალაქო დავათა განხილვის პროცესშიც მსმენელმა წარმოაჩინა სწორი სამართლებრივი არგუმენტების მოძიების, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირებისა და შესაბამისი დასკვნის გამოტანის უნარ-ჩვევები. ადმინისტრაციული სამართალი - ფიქრია სიქტურაშვილს აქვს კარგი თეორიული ცოდნა, რასაც სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები დასაბუთებულია. ამასთან, სამომავლოდ, მან უნდა განავითაროს აკადემიური წერის კულტურა. სისხლის სამართალი - ფიქრია სიქტურაშვილს სისხლის სამართალში აქვს კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე“.

ამავე დასკვნის თანახმად: „ფიქრია სიქტურაშვილმა მიცემული დავალებების შესრულებისას წარმოაჩინა როგორც თეორიული, ისე სასამართლო პრაქტიკის ცოდნა. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ლოგიკური, დამაჯერებელი და დასაბუთებულია. ახალ ინფორმაციას და მასალას ძალიან ადვილად ითვისებს და აანალიზებს. ფიქრია სიქტურაშვილი გადაწყვეტილებების პროექტების წერისას საქმის გარემოებებს აფასებდა სწორად, გამართულად აყალიბებდა აზრს, თუმცა

შეინიშნებოდა პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომები. ფიქრია სიქტურაშვილი, ლაკონიურად და გასაგებად გადმოსცემს აზრს. შეუძლია მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მხოლოდ მნიშვნელოვანზე გაამახვილოს ყურადღება. აზრის გამოხატვის, კამათისა თუ დისკუსიის დროს არის დამაჯერებელი, ეთიკური და არაგადაჭარბებული“.

2.1.8. კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია და ნაშრომი.

2.1.9. „კანდიდატს“ მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ ღონისძიებებში (მაგ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ევროკავშირის სამართლიანობის სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასაბუთების სტანდარტების მიმოხილვა - დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური; მიუკერძოებლობისა და დისკრიმინაციის საკითხებზე ამერიკული და ქართული პრაქტიკის მიმოხილვა - დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური; ინტერპრეტაციის თეორიებისა და სამართლის ნორმების გადაწყვეტილებებში გამოყენების პრაქტიკული ასპექტები - დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური; დისციპლინური სამართალწარმოების საერთაშორისო სტანდარტები და სამართლიანი სასამართლოს უფლება, სოციალურ ქსელში მოსამართლის აქტიურობა და გამოხატვის თავისუფლება, თანასწორობის პრინციპის დარღვევა და მოკვლევის პრინციპები - დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური; კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის საკითხების მიმოხილვა - დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური და სხვა).

2.1.10. „კანდიდატი“ ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ, 2001-2002 წლებში იყო სამართალმცოდნეობის მასწავლებელი - თბილისის მრავალპროფილიან სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობარში“; 2002-2003 წლებში იყო საკონსტიტუციო სამართლის ლექტორი თბილისის ბიზნესისა და საგარეო ურთიერთობების ინსტიტუტში.

2.1.11. „კანდიდატი“ ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

2.1.12. „კანდიდატს“ 2023 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2.1.13. „კანდიდატს“ 2007 წელს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2.1.14. „კანდიდატს“ 2004 წელს ჩაბარებული აქვს პროკურატურის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

2.1.15. „კანდიდატმა“ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში გაიარა მოსამართლის თანამშრომლის სამთვლიანი კურსი და 1999 წელს ჩააბარა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული გამოცდა; 2005 წლის მარტიდან 2005 წლის აპრილის ჩათვლით გაიარა უზნის ინსპექტორთა მოსამზადებელი კურსი.

2.2. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

2.2.1. „კანდიდატის“ საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია. მას „საბჭოს“ წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე, სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატის“ პასუხები ძირითადად თანმიმდევრული და არგუმენტირებული იყო.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის ((სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის) მოთხოვნებს (თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია):

ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“;

ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა“;

გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა“;

დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“.

3.2. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე) კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს სრულად აკმაყოფილებს, შესაბამისად, მივიღე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შესახებ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოკიდებელი საბჭოს მიერ წარმოდგენილი დასკვნის, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. „კანდიდატს“ გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების კარგი ცოდნა. წარმატებით გაართვა თავი სისხლის სამართლებრივ საკითხებზე დასრულ შეკითხვებს. ეცნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნის გათვალისწინებით, მიმაჩნია,

რომ კანდიდატს სწორად შეუძლია დაინახოს პრობლემის არსი, მოიძიოს და განსახილველ სამართალური თეორიას ადეკვატურად შეუფარდოს კონკრეტული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები.

4.1.2. „კანდიდატს“ გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი და ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება. როგორც იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნით ირკვევა, „კანდიდატის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ლოგიკური, დამაჯერებელი და დასაბუთებულია, ახალ ინფორმაციას და მასალას ძალიან ადვილად ითვისებს და აანალიზებს. გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებით, „კანდიდატს“ გააჩნია სამართლებრივი პრობლემების სწორად დანახვის, მისი გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ასპექტების გამოკვეთისა და მართებული გამოსავლის პოვნის უნარი.

4.1.3. „კანდიდატის“ შესახებ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ წარმოდგენილი დასკვნით დგინდება, რომ „კანდიდატი“ წერილობით აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, მისი მსჯელობა ლოგიკური და თანმიმდევრულია, იგი წერს სამართლებრივი, მარტივი და გასაგები ენით, ფაქტებსა და გარემოებებს ლოგიკურად აკავშირებს ერთმანეთთან, მის მიერ შედგენილი გადაწყვეტილებების პროექტები დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტით გამოირჩევა. „კანდიდატი“ გამართულად მეტყველებს, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს თანმიმდევრულად და ლოგიკურად, ღია და გააჩნია დასმული შეკითხვის არსის სწორად აღქმისა და სხვისი აზრის (მათ შორის - განსხვავებულის) მოთმინებით მოსმენის უნარი.

4.1.4. „კანდიდატი“ პუნქტუალური, გულმოდგინე, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია. საჯარო მოსმენაზე ნათლად და არგუმენტირებულად იმსჯელა სხვადასხვა საკითხზე.

4.1.5. „კანდიდატი“ პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით მონაწილეობას იღებს სხვადასხვა შეხვედრებსა და ღონისძიებებში. დაინტერესებულია ახალი ცოდნისა და უნარების შეძენით, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

4.1.6. „კანდიდატი“ ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში.

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატი - ფიქრია სიქტურაშვილი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით უნდა შეფასდეს 88 ქულით.

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა - 22

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 22

„გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები - 19

„დ“ პროფესიული თვისებები - 11

„ე“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 9

„ვ“ პროფესიული აქტივობა - 5

ვასილ მშენიერაძე

